შპს „აკვაპოინტი“

chkihikvadze@dmn.ge 405393051 + 995 595 957 005

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

N 0228 **28-02-2023 წ.**

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს I დანართის 22-ე პუნქტის („5 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ან/და ექსპლუატაცია“) და ამავე კოდექსის II დანართის 3.4 ქვეპუნქტის („35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება“) საფუძველზე გაიცა ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მდ. ხოფურზე 5.22 მგვტ. სიმძლავრის ,,ხოფური 1 ჰესის“ მშენებლობა-ექსპლუატაციისა და 35 კვ ეგხ-ის გაყვანის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N 58 (20/09/2022).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 11-ე მუხლის საფუძველზე წარმოგიდგენთ ამავე კოდექსის 10-ე მუხლის და გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 20 სექტემბრის N 345/ს წერილის საფუძველზე შემუშავებულ ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მდ. ხოფურზე 5.22 მგვტ. სიმძლავრის ხოფური 1 ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მდ. ხოფურზე 5.22 მგვტ. სიმძლავრის ხოფური 1 ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე.

წერილს თან ერთვის:

1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია - 1 ეგზემპლარი;
2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ)-ის ანგარიშის დანართების ნაბეჭდი ვერსიები - 6 ეგზემპლარი;
3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) არატექნიკური ანგარიშის ნაბეჭდი ვერსია - 1 ეგზემპლარი;
4. საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით და ანგარიშის და დანართების ელ/ვერსია;
5. გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ)-ს სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

პატივისცემით,

შპს „აკვაპოინტი“-ს დირექტორი

მიხეილ ჩხიკვაძე

28.02.2023

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„01“ 03 2023წ.
№ 1685